

Handwritten in red ink: 132

საქართველოს მეცნიერებათა

N 10



წინააღმდეგე და მოესწრები მომავლის იმ ცეცხლს, რომელშიაც დაიღუპებიან ქვეყნის უველა იმპერიები".

ისტორიამ დაიწყო ბაირონის წინასწარმეტყველების გამართლება; ცეცხლი, რომელსაც ელოდა ბაირონი, დანთებულია და იმპერიალისტების დაღუპვის ეამი დგება.

ცივილიზაციის სოციალური დეზინფექცია იწყება: ისტორია იყო გლეჯისა და წართმევის არენა, ადამიანი გარდაკჳნის მას შრომისა და სიყვარულის გრანდიოზულ კოლექტივად.

ახალი ქვეყანა ბაირონს მოიგონებს, როგორც ოქტომბრის რევოლუციის წინასწარმეტყველს და პოეტს, რომელსაც ორგანიულად ეზიზღებოდა ექსპლოატაცია, ტირანია და დესპოტიზმი, რომელიც მოუთმენლად ელოდა დიდი რევოლუციონური ცეცხლის დანთებას. დაავადებული ცივილიზაციის გასაწმენდად.

გაივლიან საუკუნეები; კომმარული ეპოქები ჩავგროსა, ექსპლოატაციისა, დიპლომატიური შანტაჟებისა და ადამიანთა ვერაგული ურთიერთობისა, გამოტანჯული სიმატოლის დაუკმაყოფილებელი სურვილებით, სინამდვილიდან მოგონებაში გადალაგდებიან; ისტორიის დიადი ქარავანი წარსულის უდაბნოდან გამოვა: ადამიანთა სოლიდარობითა და შრომით გალამაზებული ოაზისი დააბინავებს ქარავანს, მასთან ერთად ბაირონის რევოლუციონურ სულს, მის ესთეტიურ სახეებს.

ლევან ასათიანი.

ქმედებები და დასკვნათის თანამედროვე აპოლოგია.

1. თანამედროვე ბალახი და ახალი ხელოვნება.

თანამედროვე ეპოქის დინამიურობამ და ინდუსტრიალურმა განვითარებამ თავისი მხატვრული გამოსახულება ნახა ახალი ხელოვნების და ახალი ლიტერატურის ფორმებში. თანამედროვე ხელოვნება კი ატარებს ურბანიზმისა და საერთოდ ქალაქური კულტურის უეჭველ დაღს. ცხადია, ეპოქის მაჯისცემა ისე მკვეთრად არსად არ ისმის, როგორც თანამედროვე ქალაქში. მსოფლიო ქალაქები მილიონიანი მცხოვრებლებით, გოლიათი ფაბრიკებით, დიდი რკინის გზის სადგურებით, რადიოთი, კინემოტოგრაფით, მსოფლიო გაზეთებით, უნივერსიტეტებით, უაღრესად განვითარებული ტექნიკიზმით, ტრესტებით, მუშათა და პროლეტართა უამრავი მასსებით — წარმოადგენენ იმ აბობოქრებულ ცენტრებს, სადაც გამოხატულობას პოულობს ეპოქის სული. აქ ისახებიან პირველად სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტები, აქედან იწყება კულტურული მყოფადის პერსპექტივებში გადაჭიმული მერიდიანები, აქ ფეთქს თანამედროვე ცხოვრების დაუწყებელი გული, რომელიც ელვის სისწრაფით ნახულობს თავის გამოძახილს დედამიწის ყოველ კუნჭულში.

თანამედროვე ეპოქის უაღრესად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ სივრცის და დროის შემცირება, განვითარებული ტექნიკა, დინამიზმი, პოზიტიური მეცნიერების ტრიუმფალური სვლა, ღრმა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისები, კოლექტივისტური

ტენდენციები, მილიონაან მასების ორგანიზაციული გამო-
სვლა ისტორიის ფართე სარბიულზე, პარალელურად ჩვენ
ვაშნვეთ თანამედროვე ადამიანის ფსიხიკის ძირეულ
ტრანსფორმაციას.

სტრუქტურის ახალი ფორმები ხელოვნებისაგანაც ახა-
ლი ფორმების ძიებას მოითხოვდა. მართლაც, ჩვენ ვაშ-
ნვეთ, რომ უკანასკნელი ხანების დასავლეთის ხელოვნება
და ყველათ ლიტერატურა ამ ძირითადი ტენდენციით ხა-
სითაღებთან. აქრ ყოფვე იმპერიალისტური ომის დაწყე-
ბამდე იტალიაში ჩასახული ფურტუოიზმი ლიტერატურაში
მიზნად ისახავდა მოეცა შატეოული ვადატება თანამედ-
როვე ეპოქის დინამიზმისა, მოეცა ერთგვარი სინტეზი
ტენიციზმისა და ახალი ადამიანის — ამ ტენიციის შრე-
ნებულისა. სახით ხელოვნებაში ფურტუოიზმმა პირველმა
უარსყო ფერების, ფორმების და შინაარსის სტატეორობა
და წამოაყენა პრინციპი ფორმისა და შინაარსის განუწ-
ვერციელი მოძრაობისა. ამაშია მთელი დამსახურება ფე-
ტუოიზმის. მან პირველმა შეაშინია თანამედროვეობის დი-
ნამიკი სული და ამით ზღვათი დაედო ხელოვნებაში
დროისკმეულ იმპრესიონიზმს, სიმბოლიზმს და დეკადანსს.

აქ ერთ წინა ეპოქაში ადამიანს ახა ჰქონია საშველე-
ბა ათევისება ერთისა და იმავე დროს ისეთი უსაზღვრო
შავალფეროვნება მოვლენებისა და ფაქტების, სოციო-
დღეს თანამედროვე პოლიტიკური განვითი იძლევა დაწ-
ყოლებით ცნობებს დედამიწის სკვადამბევა ნაწილებში
ჩამდენივე საათის წინ მომდართი ამბებისა. თანამედროვე
კინეოტოგრაფი დროის უმცირეს განმავლობაში დაეათავ-
ღებებოდათ ნიუ-იორკის ქუჩას, ალბის მოეხს, შინ-
ხასი, ურნულავან ოცენქს... იგივე ითქმის ჩადიონზე
და ტელავრაფზე. თანამედროვე ადამიანის ცნობი-
ერება გაჭველია სკვადამბევა დროს და სკვადამბე-
სოციოზე მომდართი ფაქტებით. დროისა და სოცი-
ოს ძიება ფორმეტალურმა დაპოობამ ხელოვნება
მოეხანა თავისი რეზონანსი სიმულტანიტური მოძრაო-
ღების სახით (1914 წ.) სიმულტანიზმი, სოციო-
ლოგი შატეოული მოძინაიზმისა, მიზნად ისახავდა განათავსეულ

ბია ადამიანის პიროვნება ყველა ფიზიკური და ფიზიოლო-
გიური ზოგადებისაგან. სოციო-
ლოგი შატეოული სკვადამბევა, სი-
მულტანიზმი მოსწიადედა ერთ სიმულტანევე თანამედრო-
ღად აესება სკვადამბევა დროს, და ადგილას მომდართი მოე-
ღენებ... ურბანიტულმა სულმა და მიზინიზმის განვითა-
რებამ გამოიწვია ხელოვნებაში ისეთი თეოიკური, სოცი-
ოლოგი ანის ბ. შევინარტის „მინის არქიტექტურა“ (klas-
sarchitektur, 1916 წ.), ან და ფრანკი კუბისტის ფერმან
ლაფეს „მანკანების არქიტექტურა“ 1922 წ. (მიზნად: ხელო-
ვნებისა და ტენიციის არქიტექტურა და შატეოული შინ-
ციების სინთეზი, რომ გაყვითებულ იქნეს ლამაზი და კარ-
გი მანკანა); იგივე ითქმის კუბიზმზე და სულ უკანასკნელ
წლებს კონსტრუქტივიზმზე, რომლის მიზნად ტენიციის
და სახითი ხელოვნების ყველა დაზღვების სინთეზი მილი-
ანი „კონსტრუქტიული ხელოვნების“ შესაქმნელად...

უაღლოესი დროის მესოკალურ ხელოვნებაში მიზინი-
ზმისა და ურბანიზმის ტენდენციები გამოიხატა სოციოლოგის
„პოლიტიკის“ (ნაყოფობის მესოკა) და შევითებულ
შატეოების ავან-გარდით.

2. 94358000 056080930. 0. 403050.

თანამედროვე ქალაქის წამომომობისა და კოლექტი-
ვისტური განხიზმა, რომელმაც სოციოლოგი კინემატოგრაფიკა
მოხდინა თანამედროვე ქალაქის ადამიანის მათიკაში. დი-
დი ქალაქის ამბოხებულნი ქუჩა, დიქტოლოგიული ნიაღვა-
რი მუდამ აქტივებული მოთხოვლეების, პლაკატების და
ვიტრინების სრულენა, ტრამვაების და ავტომობილების
გუნდნი, ყველა ეს უამრავი მომეჭვილეება შედის თანა-
მედროვე მოქალაქის სულში, აწვევა მის განხიზმებს, მის
ფიქტებს, ან ახლევს საშველენას პირადი, განცხობიერ-
ლი, ინდივიდუალური სტრუქტურისათვის. პიროვნება ხდება
ჩადიკ ქუჩეული ცელონება მომეჭვილეებისა, ინდივიდ
თითქმის იყარება, მისი პირადი მუიბა თითქმის გამოდის
ნაქველან და უყარდება განცხობისა მოვლენებს, სო-

თებს; ნისი ცხოვრება ხდება რალაც მცირე შემადგენელ ნაწილაკათ დიდი კოლექტიური ცხოვრებისა, რომელიც მასზე, როგორც თავის ნაწილზე ახდენს თავისებურ გავლენას. აქ ხდება პიროვნების დაკარგვა დიდი ქალაქის ცხოვრებაში, ინდივიდუუმის გათქვეფა კოლექტივში, მასში. აქვე იწყება სათავეები ახალი კოლექტივისტური შეგნებისათვის, მომავალი გაერთიანებული კაცობრიობის დიდი ოპტიმიზმისათვის. ადამიანი გამოდის თავის პირადი „მე“-ს საპყრობილედან. იგი იკურნება მარტოობისა და ობლობის გრძობით გამოწვეულ კაეშანისაგან, რომ გაუერთოს თავისი სულიერი არსებობა ათასების ცხოვრებას და გაიზიაროს მასის, კოლექტივის გრძობები და ფიქრები.

ამ საერთო განწყობილების ატმოსფეროშია აღმოცენებული თანამედროვე ფრანგული უნანიმიზმი. ეს ლიტერატურული მიმართულება ჩაისახა და განვითარდა 1912—1916 წლებში. ახალგაზრდა ლიტერატორები — ეიულ რომენი, ლიუ დიურტენი, რ. არკოსი, შ. ვილდრაკი და ე. დუამელი, რომლებიც სათავეში ჩაუდგენ ამ შკოლას, მიზნად ისახავდენ რეალისტურად შესრულებული სურათების საშვალებით შეექმნათ საზოგადოებრივ გრძობათა და იდეათა სინტეზი და ამით ნიადაგი განემტკიცებიათ საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

პიროვნების კოლექტივთან ორგანიული გაერთიანების მოტივებს ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ უოტ უიტმანის პოემებში. უიტმანი უმღეროდა თავისუფალი დემოკრატიის თავისუფალ შეილებს, ყველა ერისა და ყველა რასის ადამიანთა სოლიდარობას და სიყვარულს, მომავალ პიროვნებას, რომელიც ცხოვრობს შრავალში და რომელშიდაც ცხოვრობს შრავალი:

„ქალაქს სძინავს და სოფელს სძინავს,
კოცლებს სძინავთ, რამდენიც საჭიროა და მკედრებსაც
სძინავთ რამდენიც საჭიროა...
და ყველა ისინი ისმევიან ჩემში და მე ვისხმევი მათში.
და ყველა ისინი — ვარ მე.

მათგან ყველასგან ერთად და თვითულისგან ცალკე მე
ვქსოვ ამ სიმღერას საკუთარ თავზე“...
(უიტმანი — „სიმღერა საკუთარ თავზე“)

ეიულ რომენი თავის თეორიულ წერილებში აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „თანამედროვე ადამიანი უპირველეს ყოვლისა არის „კაცი-ბრბოდან“, რომ იგი ცხოვრობს უფრო კოლექტიური, ვიდრე ინდივიდუალური ცხოვრებით, ამიტომ ეს „უნანიმური“ ეომკები თანამედროვე ადამიანისა გადატანილ უნდა იქნეს თანამედროვე პოეზიაში“.

ეიულ რომენს ეკუთვნის ლექსების წიგნი „La vie unanime“, სადაც მოცემულია ქალაქის დაუსრულებელ ორომტრიალში ჩაძირული ადამიანის გრძობები და ფიქრები. „მე ვდარდობდი თავის ამარა დაოჩენილი, — ამბობს იგი ერთ ლექსში. — მაგრამ ესლა შევიქენი შრავალი და გულმა გაიხარა“. „მე ვიყავი მარტოკა, ამაყი და დასჯილი, მაგრამ უეცრად ნყოფადიდან მოიჭრა გიფი ქარი და ყველა კარი მოვლიჯა საკიდურებს“. მეორე ადვილას იგი ამბობს „შენ გულო, ახალი სკვერი ხარ, შენ შემოუშვებ შიგნით მთელს ხალხს“... მთლიანად ეიულ რომენის პოეზია გადმოგვცემს თანამედროვე დიდი ქალაქის ადამიანის განცდათა ჯამს. მას ახასიათებს ნათელი ოპტიმიზმი და რწმენა ადამიანის საუკეთესო სულიერ თვისებათა გადაშლისა კოლექტივისტურ სამყაროში.

3. ომისა და რევოლიუციის პოეზია დასავლეთში.
თანამედროვე ადამიანისთვის ჯერ კიდევ დაუმთავრებულ განცდათ რჩება მსოფლიო ომის კომპარული წლები. ჯერ კიდევ ნათლად იგრძნობა სიღრმე და სიძლიერე იმ კატასტროფების, რომელმაც ომისა და რევოლიუციის სახით ასე შეარყია კაცობრიობის მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა ფერმენტები. სულ რამდენიმე წლის წინად ევროპის მინდვრები დასერილი იყო ღრმა სანგრების ლაბირინტებით; ქალაქები და სოფლები — მიტოვებული. ან ნანგრევებათ ქვეულნი; ლაზარეთები და საავადმყოფოები — გავსებული დასახიჩრებული ადამიანებით; საათობით იზრდებოდენ გორები ძმათა სასაფლაო.

ოების, სადაც იმარხებოდა საუკეთესო და ჯანსაღი ახალი თაობა. ხელოთი თრთოდა შორისშროლოელ ზარბაზნების და ტყვიისმფრქველთა გუგუნით; ზღვა და ოკეანე საფსე იყო ჯოჯოხეთური მეღუხებით — მინებით; ჰაერი — მოწამლული მხროლოავი გახებით.

არაოდეს შეიძლება ისეთი უნივერსალური მასშტაბით არ დაღვრილა ჩვენი პლანეტის მკერდზე იმდენი შხამი და სიძულვილი, როგორც ამ საშინელ წლებში. არაოდეს იქნება ასეთი გამძაფრებით არ გამოაშკარავებულა ადამიანის ბუნებაში საუკუნეთა კულტურის ფენებით დაფარული პირუტყვილი შინაარსი, როგორც ამ გამანადგურებელ პერიოდში. ადამიანის აზროვნებისა და გრძნობიერების მთელი აპარატი ამ წლებში თითქოს გადაირაზა მაგარი ურდულებით, რომ დარჩენილიყო ერთადერთი გამოსავალი, რომელიც მიიმართებოდა მხოლოდ მილიტარისტულ განწყობილებათა რეზერვუარში.

ყრბოთ ხელოვნებამ ამ პერიოდში კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მოსამსახურის როლი სოციალური კატეგორიის მოვლენებისადმი. შეიძლება არცერთ 75 მილიმეტრიან ზარბაზანს არ ამოუხეთქია იმდენი გაბოროტება, რამდენიც ამოანთხია ამ პერიოდის ყველა მებრძოლ ქვეყნების პოეტურმა შთავონებამ. არ დარჩენილა არც ერთი ცოტათ თუ ბევრად ცნობილი სახელი (რასაკვირველია ისეთების გამოკლებით, როგ. მაგ. ან. ფრანსი, რომენ როლანი და სხ.) ამ დროს, რომელიც არ შეღებებილიყოს ამ სამარცხვინო სისხლით და სიძულვილით. პოლ კლოდელის „Poèmes de Guerre“ (პოემები, ომზე), „პოეტების პრინციპის“ პოლ ფორის „Poèmes de France“, ნიძლენილი „საზოგელ ბარონ ფონ-პლატენბერგისადმი“, ედმონდ როსტანის საშხედრო სონეტები და უმთავრესად „Jur des Morts“ (მკვდრების სულის მოსახსენებელი დღე). ეამშის, სიუარესის, გრაფინია დე-ნოაილის და მთელი ფალანგა მსხვილ და წერილ პოეტების საშხედრო ლექსები საკმარისია პოეზიისათვის ამ ქეშმარიტად სამარცხვინო წლების გასახსენებლათ და გასაწითლებლათ. და განა მარტო ფრანგული პოეზია ჰყოდა გალური მამლაყინწას ვაწიწ-

მატებით, არა, ასეთივე დორბლი ადგა პირზე სანგრებს გადაღნა მოწინააღმდეგე ბანაკის პოეტურ ურდოებს. რიხარდ დემელის საშხედრო სიმღერების პათოსი, ლისაურის მილიტარისტული კიმნები ამ დროს ლირსეულად აძლევენ ბანს ფრანგული შთავონების კანიბალურ ღრენას. ამ სიძულვილის ღრიანცელში განსაკუთრებით საპატოო ადვილი ეჭირა იტალიურ ფუტურიზმს მარინეტის მეთაურობით. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მარინეტი მოუწოდებდა იტალიის ხალხს ცინიკური, მაკიაველური და აგრესიული საგარეო პოლიტიკისაკენ. ირედენტიზმი, პანიტალიანიზმი და ანტისოციალიზმი, ისე, როგორც ფორმულა „ომი — ერთადერთი პივიენაა ქვეყნისა“, მარინეტმა აქტუალურ ლოზუნგებათ გადაისროლა ხალხში. ჯერ კიდევ მანამდის, სანამ ზარბაზნების გრიალი აუწყებდა კაცობრიობას საშინელი კატასტროფის დაწყების შესახებ, სანამ იტალია ფაქტიურად ჩაეყოდა ომში, მარინეტი და რუსსოლო უკვე გამოწყობილი იყვენ ლომბარდიის საშხედრო ორტოციკლისტების ტყავებში. „ფუტურისტების მოძრაობის დირექცია“ მილანოში მარინეტომ გადააქცია საშხედრო შტაბათ, რომელიც ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ დემონსტრაციებს იტალიის ომში ჩარევის სასარგებლოთ. მაშინ მარინეტის რიგებში იბრძოდა თვით ბენიტო მუსოლინი. ამ ნიადაგზე სრული კონტაქტი დამყარდა ისეთ მოსისხლე მტრებს შორის, როგორიც იყვენ დანუნციო და მარინეტი — მათ აერთებდა საერთო მილიტარისტული განწყობილება. იტალიის ომში ჩარევისთანავე (1915 წ.) ფუტურიზმის მთელი შკოლა მოწინავე პოზიციებზე გაჩნდა და იბრძოდა იქნამდის, სანამ ჰაერში არ გაქრა უკანასკნელად გასროლილი თოფის ბოლი. ამ ომმა შეიწირა მარინეტის ბევრი ახალგაზრდა ამხანაგი: მხატვარი უმბერტო ბონჩიონი — მოკლეს, სანტ-ელია — მოკლეს, ბრუტიზმის მომგონი ლუიჯი რუსსოლო — მძიმეთ დაიჭრა. თვით მარინეტი გადარჩა და მიიღო საშხედრო ჯილდო, როგორც ჯავშნოსანის მეთაურმა ვიტორიო-ვენეტასთან ბრძოლებისათვის. ანგვარად ჩვენ ვხედავთ ომის პერიოდის

იტალიურ ხელოვნებას დამახასიათებელ ტრიუმფირატში.
ლანჯუო, მუსსოლინი, მარინეტი.

არც რუსული ხელოვნება ჩამორჩენია სხვა ქვეყნის
თანამომხვევს. რუსეთის მხატვრობა და პოეზია ამ მხრივ
იღვა „თავის სიმაღლეზე“. სამხედრო კორესპონდენტის ან
კომარის მუნდირში გამოწყობილი იგი უმატებდა ისედაც
გაზეადებულ კოცონს შოკინიზმისა და მილიტარისტული
ვანწყობილების ნივთს.

ამგვარად ომის პირველი წლების პოეზიამ „ვერ შეს-
ძლო ვაჩუმებულყო მინც“, თუ არ იტყოდა თავის აღშ-
ფოთებას და პროტესტს, ერთი რუსი მწერლის თქმის არ
იყოს „არაოდეს პოეზიას არ წარმოუთქვამს უფრო უსი-
რებლო სიტყვები“, როგორც ამ პერიოდში.

ჯერ კიდევ ომის დასაწყისშივე გამოდის მთელი ანტო-
ლოგიები სამხედრო ლექსებისა, რომლებიც მილიონ გე-
გემლიარებათ ურიგდებოდათ მოწინავე პოზიციებზე მი-
შველ ჯარისკაცებს. ეს იყო ნამდვილი შედეგები ცინიზ-
მის, ფსალმუნები სასიკვდილო იარაღების და სისხლით
და ცრემლით გაშვებული მხედრების. ფრანგი, გერმანე-
ლი და რუსი ჯარისკაცების ჩანთებში ასეთი სამხედრო
ლექსების წიგნაკები ისეთივე მიუცოლებელი ნივთი იყო,
როგორც ვაზნები და თამბაქო.

ასე იწყებოდა სამარცხეინო გვერდები ომის პირველი
წლების პოეზიის, ასე დაიკარგა მორტირების და მახრობე-
ლა გაზების ბოლში პოეტის და ადამიანის ქეშმარი-
ტი სახე...

მაგრამ გატაცებისა და გაბოროტების პერიოდმა ვან-
ვლო, პირველი შეტყუების დინამიური ენტუზიაზში მო-
დუნდა, ჩაიყვანა და ჩაწვა გულის გამწვარილებელ და გამა-
ნანაგებელ ტრანშეებში. ომი ღებულობს გაუთავებელ პო-
ზიციურ ხასიათს, დაუსრულებელი ლოდინის და ჩასაფ-
რების ფორმას, და აქ, ათას კილომეტრებზე გადაღადრულ
საომარ თხრილებში ჩაწოლილ მილიონთა გულში ნელ-
ნელა იზრდება მოწყენის, სევდის და უიმედობის გრძობა.
იქ იწყება პირველი უცნაოფილება, რომელიც ყოფი, მაგ-
რამ უკვე დაიწყო იწყებს ბობოქრობას, გადადის უა-

თიდან მეორეში, ტრიალობს პაერში, ღვივდება და ბო-
ლოს ამოხეიქავს ზევით ღრმა ოხერათ და გაბოროტებულ
პროტესტათ. ასეთ ოხერას მოგვგონებს პ. შუვის ლექსე-
ბის პირველი წიგნი „თქვენ ხომ ადამიანები ხართ!“
 („Vous êtes des Hommes!“). ეს იყო ჯერ არავისაგან
გაბედული, ვაგაკური სიტყვები ომის საწინააღმდეგოთ.
პოეზიის სასახელოთ და გამართლებათ შთანთმავლობის-
თვის დარჩება ეუვის ეს წიგნი, რომელიც უმძაფრესი შო-
კინიზმის წელიწადში (1915) თამამად ამბობდა: „მე მხო-
ლოდ უწყირესი ცნჭი ვარ, მხოლოდ ერთი ვინმე ევრო-
პაში. — მაგრამ მაშინ, როდესაც სდუმან თვით უძლიერესი
ყრონტები, როგორ შემძლია მე არ ვიყვირო ჩვენს საყრ-
თო სატკივარზე?“ (ლექსი „ევროპას“). ეუვის მეორე
წიგნს ეწოდება „სიმღერა უდიდეს დანაშაულზე“ (Le
chant contre le Grand Crime). ეს ლექსების წიგნი უკვე
გარკვეული საპროტესტო ყვირილი იყო, აქ პოეტი მოუ-
წოდებდა ხალხებს მშვიდობისა და სოლიდარობისაკენ:
„მე ვმღერი თქვენთვის, ო, ხალხებო, დასაბამიდგან მო-
ქმშენო ვრცელი მიწისთვის, სადაც ადვილათ იცხოვრებ-
დით ერთი ცხოვრებით“...

ეუვის თავისი ხმა შეუერთეს სხვა პოეტებმაც. ამ ხანებში,
როგორც ზარების რეცა, მოისმა მარსელ მარტინეს ძახი-
ლი საზგრების გადაღმა:

„გერმანიის პოეტებო, ო, უცნობო ძნებო,
თქვენ, დაკარგულეზო რიგებში,
ყუინარებით დადაღრულ ველებზე,
უმაპრო გზებზე“...

მოწინააღმდეგის ბანაკიდან ამ ლექსის საპასუხოდ მო-
დის გულწრფელი გამოხმაურება კარლ ოტტენისა:

„ძმაო, გავიგონე მე შენი ყვირილი,
როდესაც მე მხუთავდენ მატარებლები
დატვირთულები ახალი ძმებით“...

როგორც უდიდესი აღშფოთება დიდი დანაშაულის და
დიდი ბოროტების წინააღმდეგ ისმოდა იმავე ოტტენის
სიტყვები:

„ძირს ტეხნია! ძირს მანქანა!

ძირს თქვენი ჯოჯობითური გამოგონებანი,
თქვენი გაზები, თქვენი ტანკები — თქვენი ნაღმები
და თქვენი საფრები,
წყველა კრულვა: თქვენს კონსტრუქტორებს,
თქვენს ინჟინერებს, სიკვდილით რომ ვერ გამოძ-
ლარან.

წყველა კრულვა მასხარა საუკუნეს, მანქანის და
ფაბრიკის იდიოტს“...

ამ დროს, როდესაც ვალტერ პაზენკლევერის თქმის არ
იყოს „ადამიანი გაიაფდა, პური კი გაძვირდა“, საუკეთეს-
ო სალიტერატურო ძალებმა აიძალღეს თავისი ხმა. მი-
ლიონთა სიკვდილისა და ტანჯვის უახრობას ქადაგებდა
უკვე გაღვიძებული ევროპის სინიღისი:

— ევროპა! მე არ ვღებულობ
შენ სიკვდილს ამ სიგიჟეში.
ევროპა! მე ვუყვირი მათ,
რომ მკვლელებმა კიდევ გაგიგონონ შენ!
ევროპა! ისინი გვიხშობენ პირს
და მაინც ჩვენი ხმა იზრდება ყველგან,
როგორც ბალახი ქვებს შორის“...

ეს სიტყვები ვიხსენებ რომენის ლექსიდან „ევროპა“.
რომენს აქ ერთად იყვენენ მაშინ უნანიმისტური მიწა-
ლების ყველა პოეტები: ე. დუამელი („ბალადა ყელგა-
მოდარდულ ადამიანზე“, „ბალადა ჯარისკაცის სიკვდილ-
ზე“ და სხვ.), ე. შენევიერი, ვილდრაკი და სხვები. გერმა-
ნიაში ანალოგიური პაციფისტური მოძრაობის მეთაურე-
ბი იყვენენ სტეფან ცვიგი, ვროფელი, ვალტერ პაზენკლე-
ვერი (შესანიშნავი ლექსი „მკვლელები სხედან ოპერაში“,
„პოლიტიკური პოეტი“ და სხვ.). ამავე დროს ქვეყანას,
როგორც უდიდესი მოძღვრება, ეფინებოდა შვეიცარიაში
განდევნილი რომენ როლანის სიტყვები დაუყოვნებელ
ხაზზე და სისხლის ღვრის შეწყვეტაზე.

დაბოლოს ეს ზავიც მოვიდა, ზავი არსებითად უსისხ-
ლო გაგრძელება ომისა, ზავი აშენებული ძალადობაზე და
ექსპლოატაციაზე. ასე თუ ისე, ვერსალის ზავი მისაღები
იყო როგორც შეწყვეტა სისხლის დაუსრულებელი ნიაღვ-

რებისა. მაგრამ აქ იწყება მეორე ეტაპი ტრანშეების უკმა-
ყოფილებაზე აღმოცენებული პოეზიისათვის. აქ პოლი-
ტიკური პოეტი ადგებოდა ან გარკვეულ რევოლიუციო-
ნურ პერსპექტივას, ან თავის მისიას შესრულებულად
სთვლიდა და წერტილს უსვამდა ომის გათავებასთან
ერთად.

თანამედროვე დასავლეთის რევოლიუციონური პოე-
ზიის სათავეები ჩვენ უნდა ვეძიოთ სწორედ ამ პერიოდ-
ში. გერმანიის რევოლიუციონურ მოძრაობაში იშლება და
განვითარებას იწყებს პოეტების მთელი თაობის შემოქმე-
დება. ამ რიგებში ჩვენ ვხედავთ ი. ბენერს, ტოლერს,
ბარტელს, მიუნხაჟს და სხვ. საფრანგეთში — ანრი ბაობი-
უსი, მარსელ მარტინე, ანრი ვილზო და სხვ. აქ ისმება მე-
ტად საინტერესო საკითხი დასავლეთის რევოლიუციო-
ნური პოეზიის და ოქტომბრის რევოლიუციის ურთიერ-
ობის შესახებ. ოქტომბრის რევოლიუცია და საერთოდ
რევოლიუციონური რუსეთი იჭრება დასავლეთში, რო-
გორც ერთი საინტერესო და აქტუალური თემა. ამ დამო-
კიდებულების გასათვალისწინებლად საჭიროდ მიგვაჩნია
წერილის ფარგლებისათვის შესაფერისი, მოკლე დახასია-
თებები მოვიყვანოთ დასავლეთის რევოლიუციონური
პოეზიის ზოგიერთი წარმომადგენლებისა.

ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ მარსელ მარტინე. ამ ახალ-
გაზრდა ფრანგი პოეტის შემოქმედებიდან განსაკუთრე-
ბით მნიშვნელოვანია პოემების წიგნი: „წყველი წლები“.
საყენზურო პირობების გამო იგი დაიბეჭდა შვეიცარიაში
1917 წელს. საუკეთესო პოემა ამ წიგნიდან არის „შენ სა-
ბრძოლველად მიდიხარ“. აქ ხაზგასმულია კლასიური სო-
ლიდარობის გრძობა, რომელიც უნდა არსებობდეს მეო-
მარ ქვეყნების მუშათა კლასს შორის:

„კონგრესებზე მაგრათ ართმევდით ერთმანეთს ხელს,
ლონდონი, ბერლინი, პარიზი, ვენა, მოსკოვი, ბრიუ-
სელი —

ყველა შეგროვდით იქ; მუშა ხალხი მთლიანად
იქ შეიკრიბა; ძველი ქვეყანა, მტარვალი და ბარბაროსი
თქვენ შეერთებულ ხელების დაწოლას ელოდა.

ერთოდა...

გუშინ...

დღეს კი? დღესაც, როგორც გუშინ.
ლონდონი, ბერლინი, პარიზი, ვენა, მოსკოვი ბრიტ-
სელი

ისევ იქა ხართ, მილიანად მუშა ხალხი...

მაგ ხელებს... ესლა მაგრად უჭირავს თოფი,

შუბი და ხმალი,

შენი ხელები სღამენ ხარბახნებს,

ვანების ყუთებს და ტყვიისმფრქვეველებს. —

შენივე მსგავსის წინააღმდეგ..."

მარსელ მარტინე პირველი მიესალმა თავისი ლექსებით ოქტომბრის რევოლუციას. 1920 წელს მარტინემ გამოსცა ამ ლექსის პატარა წიგნაკი „Pour la Russie“. ამ დროს რუსეთს ბლოკადა ჰქონდა მხუთავ სალტესავით შემოკრული, სამოქალაქო ომი არ იყო კიდევ გათავისუფლებული, ეს იყო უსამართლო წელიწადი სიცივის, სიმშობის და გაჭირვების. ასეთ დროს მარსელ მარტინე სწერდა თავის წიგნში: „თუ მსოფლიო იმპერიალიზმში გაანადგურებს რუსეთს, ისტორია ჩვენ ქვეყანას უწოდებს რუსეთის რევოლუციის მკვლელს... ქალებს იქ არა აქვთ რძე, ბავშვები იღუპებიან სიცივისა და სიმშობისაგან, ვინაიდან მამაკაცებს ერთადერთი სამუშაო აქვთ მხოლოდ: დაიკვან რევოლუცია თქვენი თავდაცემისაგან. სისხლი აცხია ფულებს, რომელიც თქვენ მოგაქვთ სახლში; როდესაც იქ რუსეთში, თქვენ მიერ დამარცხდებიან, გახსოვდეთ, თქვენი საათი მოახლოვებული იქნება“...

მარსელ მარტინეს კალამს ეკუთვნის კიდევ რომანი „სახლი თავდაცვის ქვეშ“ და დრამა „ღამე“.

დასავლეთის რევოლუციონურ პოეტებთან შეიძლება ისე ახლოს არაა მდგარიყოს ოქტომბრის რევოლუციასთან, როგორც არა ვიღბო, იმპერიალისტური ომის დროს, როგორც ანტიმილიტარისტი და ციმერვალდისტების თანამოაზრე, ვიღბო იძულებული შეიქნა წასულიყო შვეიცარიაში, სადაც დააარსა რევოლუციონური ორგანიზაცია „Demain“ („ხვალისდელი დღე“), ამ ეურნალის ვარშე-

მო მამის თავი მოიყარა ყველა ომის მოწინააღმდეგე ემიგრანტებში, მათ შორის იყო რომენ როლანიც, ვიღბო არ ემყოფილდებოდა სხვა პოეტების მსგავსად მხოლოდ პაციფისტური პროტესტებით საერთაშორისო სისხლისღვრის წინააღმდეგ, იგი პირველი იყო ახალთაობის პოეტებს შორის, რომელიც თავის ლექსებში მოწოდებით მიმართავდა არა ვახვეწებულ „კაცობრიობას“ და ზოგად „ადამიანურ შეგნებას“, არამედ უწოდებდა „არდაპირ პროლეტარიატს, ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეულს, რომ შეეტოვებიათ სანგრები და დაეწყოთ აჯახყება, საფრანკეთის მთავრობის განკარგულებით ასეთი პროპაგანდისათვის ვიღბო დაპატარებულ იქნა კიდევ განთავისუფლების შემდეგ, 1918 წელს ვიღბო მოვიდა საბჭოთა რუსეთში, ეს მგზავრობა მან აღწერა საინტერესო წიგნში „როგორ და რისთვის მოვედი მე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში“. ვიღბოს ეკუთვნის პოემა „კარლ ლიბნეხტ“ და რუსეთში ყოფნის შემდეგ დაწერილი პოემების კრებული „კრასკრემლი“. შეიძლება ყველაზე საუკეთესო, ამ უკეთ, ყველაზე საინტერესო, რაც დასწერა ვიღბომ რუსეთის თემაზე, ეს არის პოემა „მოსკოვი“, აქ აღწერილია 1920 წლის მოსკოვი ზედმიწევნითი კონკრეტობით და რეალობით, დანარჩენი სოციალური პოემები კრებულიდან „კრასკრემლ“ შედარებით სუსტია.

ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციის გაგებასთან ვიღბოზე ახლო არც ერთი დასავლეთის რევოლუციონური პოეტი არ მისულა, საჭიროა მილიანი წარმოდგენა ეტიონით მის შემოქმედებაზე, ჩვენ აქ გვიანტერესებს ფორმალური მხარე, რადგან თემატიურად, ასე ესთქვათ, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ვიღბოს პოეზიის სოციალური ბუნება ჩვენთვის საკმაოდ გარკვეულია.

როგორც პოეტი, ანრი ვიღბო უნდა ჩაითვალოს უოტ უიტმანის მოწაფეთ, აქ უნდა ითქვას, რომ საზოგადოთ მთელი დასავლეთის რევოლუციონური პოეზია 1912-20 წ. წ. ფორმალური მხრით განვითარდა უიტმანის და ემილი ვერხარის ძლიერი გავლენის ქვეშ, ყოველ შემთხვევაში ამ ორი დიდი პოეტის პოეტურ ტრადიციათა

პირდაპირი ხაზის გაგრძელებით. ამ განვითარების ყვე-
ლაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნებია ლექსის კო-
სტრუქციის დინამიურობა და თავისუფალი ლექსი. ორი-
ვე ეს თვისება მეტად ახლოდელია გილბოს შემოქმედებე-
სათვის. შინაგანი დინამიკის გარდა, უიტმანისგან გილ-
ბომ შეითვისა აგრეთვე მისწრაფება პოეტური ენის უაღ-
რესი კონკრეტულობისაკენ. გილბოს ახასიათებს სწო-
რეალიზმი და ფიზიკური მიდგომა გარემუარის მოვლენებ-
თან. თავისი შემარქმენე პოეტიკით გილბოს საშუალო ხა-
ზი უჭირავს უნანიმიზმსა და ექსტრემიზმს (გ. აპოლინერი,
ბლეზ სანდარარი) შორის. ფილ რომენის ჯგუფთან მის
აერთებს რეალისტური მიდგომა პოეზიაში, რასაკვირვე-
ლია. შედარებით მარტივი ბუნების, ხოლო ფრანგულ-
ფურტურიზმთან მას ანათესავებს ფორმის გამძაფრებელი
დინამიკა, თუმცა უფრო პრიმიტიული და ლარიბი. ე-
დრე ესა აქვთ ექსტრემისტებს.

შეიძლება გილბოსთვის, როგორც პოლიტიკური პი-
როვნებისათვის, მეტად დამახასიათებელია ის გარემოება,
რომ იგი საკმაოდ საინტერესო არის შემარქმენე და სო-
ციალური პოეზიის ფარგლებში, მაგრამ ამავე დროს საკ-
მაოდ ბანალური იერი ადევს, როდესაც გადადის წმინდა
ლირიკაში და სიყვარულის მოტივებს ეხება.

მარსელ მარტინეს და ანრი გილბოს შემდეგ არ შეიძ-
ლება არ იქნეს აღნიშნული თანამედროვე გერმანულ რე-
ვოლუციონურ პოეტების მთელი რიგი, როგორც მაგა-
ლითად **ერნსტ ტოლდერი** — ლირიკოსი და სოციალური
კომუნისტების ავტორი („კაცი-მასლა“, „მანქანების დამპყრობე-
ნი“), იგი მონაწილეობას ლებულობდა ბავარიის აჯანყე-
ბაში, რომლის დამარცხების შემდეგ დიდხანს იყო დამა-
ტობებული, ამ პერიოდის ლექსებიდან აღსანიშნავია
„ბურჟუაზიის ტყვეები“ — გაელენთილი მებრძოლი პრო-
ლეტარიატის კლასიური სიმღვეილით ბურჟუაზიის მი-
მართ. აქვე საჭიროა მოვიხსენოთ **მაქს მარტელი** და **იოანე
ბენერი**. პირველს ეკუთვნის მთელი წყება ძველი ლირი-
კული ფორმით დაწერილი რევოლუციონური ლექსები-
სა (პეტერბურგი, მარტის ქარიშხალი, აჯანყება, მოსკოვი

და სხ.). მარტელი იყო საბჭოთა რუსეთში და თავისი
მოგზაურობა აღწერა საინტერესო მიმოხილვების სახით.
იოანეს ბენერი ომამდე ბოვემური პოეზიის წარმომადგე-
ნელი იყო. ამის შემდეგ ბენერი მიეცედა კარლ ლინ-
ნეტის „სპარტაკის“ ჯგუფს და თავის რევოლუციონურ
ლექსებში, რომლებიც მიმართული იყო კაპიტალისტურ
და იუნკრულ გერმანიის წინააღმდეგ, უმლოროდა რე-
ვოლუციონურ პროლეტარიატს და მის ბელადებს. ბე-
ნერმა ყურადღება მიიქცია თავისი პოეზით „ლენინის ე-
ბოსთან“ და ლექსით-პამფლეტით გერმანიის პრეზიდენ-
ტის ჰინდენბურგის წინააღმდეგ. — „მხოვრი ტაბტზე“.
გერმანულ რევ. პოეტებს შორის აღსანიშნავი არიან კო-
დეე ერის მიუხაში, ისკარ კინელი, ი. გოლდი, ფ. ვის-
კოპფი და სხ., მაგრამ მათზე აღარ შევარჯებ მკითხვე-
ლის ყურადღებას და გადავალ ფრანგულ სურთავალიზმზე.

4. „დადა“-დან სურამალნიზმამდე.

სურრეალიზმი ჩვენ გვიანტერესებს ესლა იმდენად,
რამდენადაც ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენ-
ლები, დადაისტები ლუი არაგონი და ანდრე ბრეტონი
ესლა კომუნისტები არიან და შედიან ეურბალ „კლარ-
ტე“-ს სარედაქციო კოლეგიაში. „კლარტე“-ს ჯგუფი
შეადგინეს ანრი ბარბიუსმა და ანატოლ ფრანსმა 1919 წ.
ეს იყო პასუხი მაშინ არსებული „ანტიბოლშევიკური ლი-
გის“ წინააღმდეგ. ჯგუფის მიზანი იყო დასავლეთის რე-
ვოლუციონურად განწყობილი ინტელიგენციის საერთა-
შორისო ცენტრის შექმნა და მორალური დახმარების გა-
წევა საზოგადოთ რევოლუციისა და კრძოთ საბჭოთა
რუსეთისათვის. ამ ჯგუფში ანატოლ ფრანსისა და ბარბი-
უსის გარდა შედიოდენ გ. ბრანდესი, ე. დუამელი, შარლ
ვილი, ე. სინკლერი, გ. უელსი და პაციფიზმისა და ქუმა-
ნიზმის სხვა საუკეთესო წარმომადგენლები დასავლეთის
ლიტერატურაში.

სურრეალიზმი გამოვიდა დადადან. ქეშმარიტად საო-
ცარიია ეს ტრანსფორმაცია, მის გასათვალისწინებლად სა-
ჭიროა მკითხველს უკანდახვევა მახლობელ წარსულში, რომ ვა-
ნისხენოთ დადას პირველი დღეები.

დადა ჩასახა 1916 წელს, შვეიცარიაში. ეს იყო წელი-
წალი როდესაც მსოფლიო ომის გამძაფრებამ მიიღო აბა-
ლი ფაზისი და ყველა დარწმუნდა, რომ ომს კიდევ დიდ-
ხანს არ ექნება დასასრული. ომი გადაიქცა მეტროპოლ მხა-
რეთა გენერალური შტაბების დახელოვნებულ და გაიძვე-
რულ კომბინაციათა შეჯიბრებათ. სახელმწიფოები ესლა
უსდიდენ მშალოდ მოწინააღმდეგის ღონის მიხდას. ამავე
ღროს ომი თითქმის გადაიქცა ყოფა-ცხოვრებათ. მოხდა
ერთ ღროს უმწვავეს სამხედრო შთაბეჭდილებათა სრუ-
ლი ავტორიტარიატია. დაიბადა მოწყენა, უკმაყოფილება,
პროტესტი. კაცობრიობას ენატრებოდა მოსვენება, მას
მოსძულდა ამდენი ნერვების დაჭიძვა. და აი, ასეთი სუ-
ლიერი განწყობილების ღროს, სისხლის და ცრემლის
რბივარში, თოფის წამლით გაყვნილი ნისლში გა-
მოხდა დადას ნილილისტური და ცინიკური ნილაბი. ეს
თითქოს იყო თუმცა მეტად ვულგარული, მაგრამ მაინც
ერთგვარი საზოგადოებრივი პროტესტის გამოხატულება.
აქ თითქოს შეიძლება ფიქრი დადას სოციალურ მნიშვნე-
ლობაზედაც. დადამ მიადურთხა მაშინ კაცობრიობის
ყველა უწმინდეს პრინციპებს, ყველა მორალურ, ესთეტი-
ურ და პოლიტიკური კატეგორიის ფაქტს: „დეე, ყოველ-
მა ადამიანმა იყვიროს: წინ არის უდიდესი მუშაობა, —
დამანგრეველი, უარყოფელი: გახვეტა, გაწმენდა“...
(ტრისტან ტყარა). ამ გარდატეხის პერიოდში გასაგები
აბერაციის გამო დადა ბევრს ეჩვენებოდა არა მარტო რო-
გორც ანტიმილიტარისტული, არამედ თითქმის როგორც
სოციალისტური და რევოლიუციონური მოძრაობა. ამი-
ტომ საესებით გასაგებია ის გარემოება, რომ ამ ღროს
დადა იტაცებს ახალგაზრდა ხელოვანთა გულისყურს,
რომლებიც, განსაკუთრებით გერმანიაში, საერთო განად-
გურების ღროს, ცდილობდენ რევოლიუციონური გამარ-
თლება მიეცათ სასიკვდილოთ გადაადებული ხელოვნები-
სათვის. ესლა ცხადია, რა აკავშირებდა დადასთან გეორგ
გროსსეს (აგრეთვე პაულ კლევს და საზოგადოთ სპარტა-
კულ მოძრაობაში ჩათრეულ გერმანიის მხატვრულ ახალ-
გაზრდობას), დადა ამ ღროს სიმბოლო იყო ანტიმილიტა-

რისტული და ანტიბურჟუაზიული ხელოვნების, ამდენად-
ვე იგი შეიძლება გამოხატულიყო კომუნისმის ესთეტიურ
გამოხატულებათ. მაგრამ დადამ ჩქარა აჩვენა ყველას თა-
ვისი ნამდვილი სახე. ეს ჯენტლმენი აღმოჩნდა ჩვეულებ-
რივი პაწია ობივატელი, რომელსაც სასიკვდილოთ მო-
ბეზრდა ომის გაუთავებელი დაჭიმულობა. აქვეა ის ჯვა-
რედონი, სადაც გაიყარა დადას და გროსსეს გზები. გროს-
სეს წინ იშლებოდა რევოლიუციონური პრძოლის პერ-
სპექტივა, დადამ კი, ერთი მწერლის თქმით, ისევე გულ-
დამწვილებით მიადურთხა ბაროკოების თავგანწირვა,
როგორც ადურთხებდა სანგრებში დანთხეულ სისხლს...

ომის გათავების შემდეგ დადამ მოინაცვლა ადგლი-
შვეიცარიიდან გადავიდა პარიზში. აქ იგი დადაც ხელო-
ვნების უკიდურესად მემარცხენე ფლანგზე და ამგვარად
დაუპირდაპირდა აოოროძინებულ კლასიციზმს. ეს იყო ზე-
ნიტი დადაიზმის პოპულიარობის, ამ ღროს (1925) იგი
ევროპიული მასშტაბით ნახულობდა თავის რეზონანსს.
დადას და ნეო-კლასიციზმის დაპირდაპირება ბუნებრივი:
ამ ღროს მემარცხენობაზე პრეტენზიას ველარ აცხადებდა
ვერც ყარჯათ მობერებული ფუტურიზმი. ვერც მტხოვანი
კუბიზმი — მათ, როგორც გარკვეულ მიმართულებებს.
უკვე ჰქონდათ თავისი ჩამოყალიბებული მეთოდები.
ჰქონდათ ისტორია და ტრადიცია. რაც შეეება სხვადა-
სხვა სახის სოციალისტურ პოეზიას (მარტინე, ევვ და სხ.)
და თეთი უნახიზმს, მაშინ ისინი ჯერ კიდევ ოფიციალუ-
რი, აკადემიური ყურადღების და მიღების გარეშე რე-
ბოდენ.

თავი რომ დაეანებოთ იდეოლოგიურ შინაბუნებას.
პოეზიის ფორმალურმა და პროგრამულმა გლოსსოლა-
ლიზმმა დადა მიიყვანა ბუნებრივი გზით სრულ გაკოტ-
რებამდე. დადა მოკვდა, როგორც ომის სპაზმების და ქა-
ოსის უღლეური ნამიერი. მაგრამ დადაისტები, როგორც
ყოცხალი ადამიანები დარჩენ (ლუი არაგონი, ანდრე ბრე-
ტონი, ტრისტან ტყარა, ფილიპ სუპო, ფრანსის პიკაბია,
რიბემონ-დესსენი და სხ.). ზოგი მათგანი შეეხიზნა ექს-
ტრემისტებს. ფილიპ სუპოს, რომელმაც გაკოლებით აღო

მატრეა დადა, და რომელსაც ეკუთვნის რომანი „კეთილი შვეუნი“, ასე ახასიათებს ერთი ფრანგი კრიტიკოსი: „ამ ნაწარმოებში მოსახსნ ბურჟუაზიული მეტეკიდროება, რომელშიც თაობის დაღალვა და სევდა გარდამავალი დროისა, როდესაც დაშლილია ყველა რწმენა და ახალი კი ჯერ არაფერი მოსახსნ... სუბო — ეს არის პაწაწა პამლეტი სასაფლაოზე, რომელზედაც ევროპამ დამარხა თავისი 12 მილიონი შვილი“...

დადაისტების მიერ წაიღია სიღრმეში. შეიძლება ითქვას, რომ შაო მოახდინეს კარდინალური რეორგანიზაცია თავისი შეხედულებებითა. მეტყველების უშუალოდ საღიში მოსწრაფებამ, ცოლიზაციის წინააღმდეგ აჯანყებამ და გამატონებელი გემოვნების უარყოფამ დადაისტები პრეტონი, არაგონი) მიიყვანა ანარქიზმამდე; მათ გამოსცეს მთელი რიგი მანიფესტებისა, სადაც თავისთავს უწოდეს სურრეალისტები. რა არის სურრეალიზმი? „სურრეალიზმი შხატურული ნაწარმოების საფუძვლად იღებს რეალობას, მაგრამ არა როგორც უცვლელ აბსოლიუტს, არამედ როგორც გზას უმაღლეს ეთიკურ და ესთეტიკურ მოთხოვნალებებისაკენ. სურრეალისტი უშუალოდ თანამედროვე რეალობას შეტად თუ ნაკლებად ირონიული თვალთ და აშენებს თავის რეალობას სინთეტიკური გზით, — წინააღმდეგ რეალიზმისა, რომელიც საზღვრობებს ახალი ტიპური მეთოდით“ (ი. მაკა). სურრეალიზმს ამ ახალი მოვლენით ახასიათებს ერთმხრივ უკიდურესი სუბიექტივიზმი — ვერმანული უკიდურესი ექსპრესიონიზმის ყაიღის. მანუ დროს აქ თითქოს იმალება ყოვეც უარყოფა შემოქმედების, რომელიც შეუძლებელია დახუთულ ბურჟუაზიულ ატმოსფეროში. აქ იწყება ახალი ერთხისი, რომელიც შეიძლება დაძლეულ იქნეს შემოქმედებითი გზების ახალი პერსპექტივებით...

ქართული პუბლიცისტიკის ისტორიისათვის

(მასალები ნიკ. მიწისუილის რედაქციით).

ოქტომბრის რევოლუციამ პოლიგრაფიული საქმე საქართველოში სრულიად ახალ გზაზე დააყენა. ამ მხრივ საქართველოს **სახელმწიფო გამომცემლობის** დაარსება წარმოადგენს უდიდეს ეულტურული მნიშვნელობის მოვლენას, არ შეიძლება ეუცხოოთ სახელგამს, როგორც პარტოვებურთული პოლიგრაფ წარმოებას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მხოლოდ წიგნებისა, ეფონალებისა, სახელმძღვანელოების და სხვ. ბეჭდვა და გაერყელება, სახელგამი ვარდა ამისა მნიშვნელოვანი სოციალური შედეგების აღმსრულებელი იზგანია.

*) მასალები ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან ჯერ სისტრატეგიად არაა დამუშავებული და გამოქვეყნებული. ამას სჭირდება დიდი მუშაობა — და უფრო მეტი დრო ერთი კაცის შრომა და სურვილი ოდნავაოც ვერ მოაღწევს მიზანს. ამიტომ იყო რომ განათლების სახალხო კომისარიატი შეეცადა შეეცნა სპეციალური კომისია, რომელიც შეეგროვებდა და დამუშავებდა ამ დარგში უცვლელად მასალებს და გამოაქვეყნებდა მას 1929 წლისათვის, როცა გამზარებულია ქართული წიგნის 300 წლის იუბილეს გადახდა. იქვე ედიქციონით, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამეს გაკეთება შეიძლებოდა. რამდენაოც ეცოთ ამ კომისიის მუშაობა ჯერ არ დაწყება, მასალები კი უცდის თავის მცდედადს ემეფეოვნებით, რომ ეს დიდი მუშაობა დაიწყება, მანამდე კი ჩვენ ვაქვეყნებთ შემოქმედებად ამ მკითხე მასალებს, რომელიც ხელთგავეყო და ქართული დანტერესებულ პირთ მოგვეწოდოს მასალები სახელმწიფო გამომცემლობაში.

არ შეგვიძლია დიდი მადლობა არ გადაუხადოთ სტამბოლის ქართულ მისისტერს და ეფიხით მ. შ. ვარდიძეს, რომელიც ხელი შეუბოწყავს მკითხვის მასალების მიღებაში უცხოეთში არსებულ ქართული სტამბების ისტორიის შესახებ.

ნიკ. მიწისუილი.